



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
25 მარტი, 2019

ეკონომიკა


ეკონომიკური ზრდა: საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაზუსტდა და 4.7% შეადგინა. 2018 წელს ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორები იყო: ფინანსური შუამავლობა (+13.5%), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (+13.2%), ოპერაციები უძრავი ქონებით (+12.1%) და სასტუმროები და რესტორნები (+9.7%). ამასთან, 2018 წელს, მხოლოდ მშენებლობის დარგში დაფიქსირდა კლება (-3.1%), რაც ძირითადად მთავრობის ინფრასტრუქტურული პროექტების გადავადებამ და მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის დასრულებამ განაპირობა.

საგარეო ვაჭრობა: საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის თებერვალში ექსპორტი წლიურად 19.1%-ით გაიზარდა და 266.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, იმპორტი კი 0.6%-ით გაიზარდა 642.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. შედეგად, სავაჭრო დეფიციტი 9.3%-ით შემცირდა 376.5 მლნ აშშ დოლარამდე. 2019 წლის თებერვალში 5 უმსხვილესი საქსპორტო საქონელი იყო: სპილენძი (-12.5% წ/წ), ფეროშენადნობები (+53.1% წ/წ), ავტომობილები (+34.4% წ/წ), ღვინო (+30.9% წ/წ) და მედიკამენტები (+104.1% წ/წ).

2019 წლის თებერვალში 5 უმსხვილესი საიმპორტო საქონელი იყო: ნავთობი (+6.2% წ/წ), აირები (+6.8% წ/წ), მედიკამენტები (+99.8), სპილენძი (+11.0% წ/წ) და ავტომობილები (-18.6% წ/წ). ჯამურად, 2019 წლის პირველ 2 თვეში, სავაჭრო დეფიციტი 7.3%-ით შემცირდა, რადგან ექსპორტი 13.2%-ით, ხოლო იმპორტი მხოლოდ 0.1%-ით გაიზარდა.


მწარმოებელთა ფასების ინდექსი: საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის თებერვალში მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 3.3%-ით გაიზარდა. ინდექსის ფორმირებაზე ძირითადი ზეგავლენა დამამუშავებელი მრეწველობის 4.0%-მა ზრდამ იქონია.

საქონლის ექსპორტი, 2M19



წყარო: საქსტატი

საქონლის იმპორტი, 2M19




ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018
მშპ (%-ლი ცვლილება)	2.8%	4.8%	4.7%
მშპ ერთ სულზე (ppp)	10,065	10,742	11,600
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	3,857	4,047	4,346
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	1.8%	6.7%	1.5%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	2.8	3.0	3.3
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	13.1%	8.8%	6.5% ⁽¹⁾
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	3.0%	2.9%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	44.4%	44.8%	45.0%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, G&T

1) 2018 წლის პირველი ცხრა თვის მდგომარეობით

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2018-19

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №6 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №16 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №66

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB- სტაბილური დადებითი მაისი-2018	 Ba2 სტაბილური დადებითი სექტემბერი-2018	 BB სტაბილური დადებითი თებერვალი-2019
---	--	--

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები



ფულადი ბაზარი

რეფინანსირების სესხები: საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გასულ კვირას 550 მლნ ლარის (205.1 მლნ აშშ დოლარი) ღირებულების 7-დღიანი რეფინანსირების სესხები გასცა.

გასულ კვირას სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონი არ გამართულა.


უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2019 წლის 26 მარტს, სადაც 5-წლიანი 30 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

ემისიის კალენდარი, მარტი 2019

თარიღი	მოცულობა, მლნ აშშ \$	დაფარვის თარიღი
26-მარ-19	30	5 წელი


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სეზ

მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




წყარო: სეზ

სადეპოზიტო სერტიფიკატები (საშუალო შეწონილი განაკვეთი)



წყარო: სეზ

ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სეზ

შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები

კორპორატიული ევრობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევრობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 5.97%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 100.12 (+0.44% წინა კვირასთან). საქართველოს კაპიტალის ევრობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 94.14 (+0.55% წინა კვირასთან შედარებით), 7.57%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევრობლიგაციებით (GEOROG 04/21) ვაჭრობა დაიხურა ფასით 103.60 (+0.39% წინა კვირასთან შედარებით), 4.91%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევრობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 107.47 ფასად (+0.31% წინა კვირასთან შედარებით), 5.25%-იანი შემოსავლიანობით.


საქართველოს სუვერენული ევრობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 105.91 (+0.16% წინა კვირასთან შედარებით), 3.84%-იანი შემოსავლიანობით.

ევრობლიგაციები (შემოსავლიანობა)



წყარო: Bloomberg

ევრობლიგაციები



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

ევრობლიგაციები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	სასაულო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	04/12/2021	BB/BB-/Ba2/-	105.91	3.84	143.27
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	07/11/2022	BB-/B+/-/-	107.47	5.25	292.62
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	04/26/2021	BB/B+/-/-	103.60	4.91	250.65
GEBGG 06/20	GEL	500	11.000%	06/01/2020	BB-/B+/-/-	n/a	n/a	n/a
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	07/26/2023	BB-/B+/-/-	100.12	5.97	366.99
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.130%	n/a	B-e/-/-/-	101.24	10.91	848.12
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	03/09/2024	-/B+/B2/-	94.14	7.57	526.80

ადგილობრივი ობლიგაციები

GWP 12/21	GEL	30	10.000%	06/12/2021	BB-/B+/-/-	n/a	n/a	n/a
M2RE 10/19	US\$	25	7.500%	07/10/2019	B+/-/-/-	100.79	6.00	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.500%	31/12/2021	B+/-/-/-	101.26	7.00	n/a
GLC 08/20	US\$	10	7.000%	29/08/2020	B+/-/-/-	100.67	6.50	n/a
GLC 06/21	US\$	10	6.500%	22/06/2021	B+/-/-/-	97.95	7.50	n/a
Nikora 06/19	US\$	10	9.000%	28/06/2019	-/-/-/B+	n/a	n/a	n/a
Silknet 08/22	GEL	34	10.000%	18/08/2022	B+/-/-/-	n/a	n/a	n/a
Crystal 12/19	GEL	10	11.000%	28/12/2019	B/-/-/-	100.39	11.00	n/a
Crystal 02/21	GEL	15	10.500%	01/02/2021	B/-/-/-	99.39	10.75	n/a
Swiss Cap. 09/21	GEL	10	13.000%	13/09/2021	B/-/-/-	100.0	13.00	n/a

წყარო: Bloomberg

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევრობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომცემი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	სასაულო ფასი, აშშ \$	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	4/12/2021	BB/BB-/Ba2	105.91	3.84	143.27
Armenia	US\$	500	6.000%	9/30/2020	B+/-/B1	102.60	4.21	172.47
Azerbaijan	US\$	174	2.820%	9/1/2021	BB+/-/Ba2	97.16	4.06	168.85
Belarus	US\$	800	6.875%	2/28/2023	B/B/B3u	105.33	5.35	304.65
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	10/14/2024	BBB/BBB-/Baa3	103.07	3.27	96.23
Russia	US\$	3,500	5.000%	4/29/2020	BBB-/BBB-/Baa3	101.99	3.13	57.70
Turkey	US\$	2,000	5.625%	3/30/2021	BB/NR/Ba3	100.45	5.39	298.09
Ukraine	US\$	1,409	7.750%	9/1/2021	B-/B-/Caa1	99.38	8.03	565.45

წყარო: Bloomberg



აქციები


საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 16.47 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.74% წინა კვირასთან შედარებით და -2.97% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 300 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 16.30 – 17.21 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 70 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 10.61 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +1.05% წინა კვირასთან შედარებით და -5.64% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 85 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 10.51 – 10.94 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 79 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 15.62 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -4.87% წინა კვირასთან შედარებით და +6.26% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 75 ათასს გადააჭარბა, GBP 15.32 – 16.66 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 25 ათასი აქცია შეადგინა.


საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის (GHG LN) აქციები დაიხურა 1.98 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში -1.00% წინა კვირასთან შედარებით და -5.49% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 15 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 1.95 – 2.00 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 9 ათასი აქცია შეადგინა.

საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი (GHG LN)



წყარო: Bloomberg



აქციები

აღმოსავლეთი ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Bank of Georgia	BGEO	GBP	16.47	810	-12.4%	-32.0%	19.6%	6.35x	5.61x	1.34x	1.14x
TBC	TBC	GBP	15.62	847	-4.9%	-16.0%	2.6%	6.32x	5.47x	1.14x	1.01x
Halyk Bank	HSBK	US\$	11.60	3,409	10.5%	-18.3%	12.1%	5.14x	4.81x	1.02x	0.90x
VTB Bank	VTBR	US\$	1.17	7,582	-13.1%	-42.9%	5.6%	2.68x	2.81x	0.43x	0.44x
Akbank	AKBNK	TRY	6.36	33,072	16.8%	-26.4%	8.1%	6.21x	4.25x	0.65x	0.58x
Garanti	GARAN	TRY	9.18	38,556	38.9%	-16.3%	15.3%	6.33x	4.10x	0.74x	0.65x
Isbank	ISCTR	TRY	5.93	26,685	44.6%	-18.3%	30.9%	4.05x	3.43x	0.49x	0.44x
PKO	PKO	PLN	38.70	48,375	-6.7%	-5.4%	-2.0%	12.03x	10.99x	1.17x	1.12x
PEKAO	PEO	PLN	109.65	28,780	1.7%	-12.0%	0.6%	11.94x	10.56x	1.23x	1.17x
Millennium	MIL	PLN	9.22	11,184	3.6%	11.8%	3.9%	13.73x	11.37x	1.21x	1.14x
Mbank	MBK	PLN	442.20	18,721	5.2%	3.6%	4.2%	14.80x	12.87x	1.14x	1.08x
BRD	BRD	RON	12.82	8,934	-6.0%	-14.5%	12.5%	9.42x	10.26x	1.23x	1.19x
Banca Transilvania	TLV	RON	2.12	10,184	-9.2%	-9.7%	5.5%	8.14x	8.43x	1.18x	1.09x
OTP	OTPD	USD	22.80	12,768	28.8%	0.9%	16.3%	10.68x	10.12x	0.82x	0.73x
Komerční	KOMB	CZK	958.50	182,162	6.3%	2.5%	13.2%	12.61x	12.44x	1.74x	1.64x
საშუალო								8.70x	7.83x	1.04x	0.95x
მედიანა								8.14x	8.43x	1.14x	1.08x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2019F	2020F	2019F	2020F
Georgia Capital	CGEO	GBP	10.61	403	-4.3%	n/a	3.9%	13.73x	11.41x	0.82x	0.77x
Tinc Comm	TINC	EUR	12.05	329	-2.4%	3.0%	2.1%	21.99x	20.17x	1.01x	1.00x
Sabancı Holding	SAHOL	TRY	8.45	17,241	17.2%	-19.3%	12.4%	4.82x	4.52x	0.54x	0.48x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	32.60	490	-10.2%	-19.8%	-2.8%	16.40x	10.74x	1.11x	1.04x
Eurazeo	RF	EUR	67.35	5,155	-1.9%	-6.0%	9.0%	13.32x	12.23x	1.12x	0.93x
Carlyle Group	CG	USD	18.78	2,046	-21.6%	-13.8%	19.3%	2.95x	2.15x	2.01x	1.09x
საშუალო								12.20x	10.20x	1.10x	0.88x
მედიანა								13.52x	11.07x	1.06x	0.97x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ჯანდაცვის სექტორის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		EV/EBITDA	
								2019F	2020F	2019F	2020F
GHG	GHG	GBP	1.98	260	-8.1%	-36.7%	-3.2%	16.85x	12.22x	7.41x	6.07x
Mouwasat	MOUWASAT	SAR	80.20	8,020	6.5%	-8.8%	-0.4%	20.86x	18.33x	15.06x	13.42x
Fortis	FORH	INR	136.35	102,938	-0.7%	-11.8%	-3.0%	1.70x	1.58x	6.84x	6.65x
Raffles	RFMD	SGD	1.06	1,905	-3.6%	-8.6%	-3.6%	31.81x	30.87x	20.61x	19.30x
IHH	IHH	MYR	5.82	51,037	11.1%	-3.3%	8.0%	45.99x	36.01x	17.24x	14.50x
Bangkok Chain	BCH	THB	16.90	42,144	-16.3%	1.2%	1.2%	33.36x	29.30x	18.52x	16.66x
Netcare	NTC	ZAR	24.67	35,823	-10.5%	-4.4%	-6.7%	15.12x	13.95x	9.01x	8.35x
Life Healthcare	LHC	ZAR	27.07	39,721	4.5%	-6.9%	2.5%	19.94x	16.01x	8.81x	8.02x
Mediclinic	MDC	GBP	3.03	2,232	-33.0%	-46.7%	-6.1%	11.16x	10.08x	7.89x	7.29x
Apollo Hospitals	APHS	INR	1,150.60	160,077	10.2%	12.6%	-8.6%	56.63x	36.48x	18.13x	15.04x
KPJ Healthcare	KPJ	MYR	1.04	4,487	-4.6%	15.6%	0.0%	23.02x	21.13x	12.05x	11.35x
NMC	NMC	GBP	24.22	5,043	-26.8%	-27.5%	-11.5%	18.10x	14.37x	13.57x	11.54x
საშუალო								24.55x	20.03x	12.93x	11.52x
მედიანა								20.40x	17.17x	12.81x	11.44x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი მკაცრად კონფიდენციალურია და მომზადებულია სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart") მიერ, რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნესი-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია გალტი ენდ თაგარტის კლიენტებისთვის და კვლევითი მასალების გამოწერებისთვის. ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტი ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge